საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 54 8
27/02/2019

8-54-4-201902271745

საჩხერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ცხომარეთში მდებარე უბნისათვის ,,უზუნთის“-ს სახელის მინიჭების თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე“ ქვეპუნქტის და ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის #239 დადგენილების შესაბამისად, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. საჩხერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ცხომარეთში მდებარე უბანს მიენიჭოს სახელი ,,უზუნთა“ (დანართი: რუკა თან ერთვის).

მუხლი 2. განკარგულება გაეგზავნოს საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

მუხლი 3. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.

ლევან ივანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე